Sapari / საფარი

რა შემთხვევაში შემიძლია, გამოვიყენო კომპანიაში არსებული საჩივრის მექანიზმი?

- **დისკრიმინაციის;**
- **სექსუალური შევიწროების;**
- **კომპანიის შინაგანაწესით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევის**

შემთხვევებში.

რა არის დისკრიმინაცია?

დისკრიმინაცია არის ადამიანის მიმართ არახელსაყრელი მოპყრობა ან პირიქით, მისთვის უპირატესობის მინიჭება გარკვეული ნიშნის მიხედვით, რაც საბოლოო ჯამში ლახავს ადამიანის უფლებას. დისკრიმინაცია შესაძლოა, განხორციელდეს სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგის, გენდერული იდენტობის, ოჯახური მდგომარეობის, სექსუალური ორიენტაციის და სხვა სამართლით დაცული ნიშნების საფუძველზე.

რაში ვლინდება გენდერული დისკრიმინაცია?

გენდერული დისკრიმინაცია გულისხმობს სქესის ნიშნით ნებისმიერ განსხვავებას, რომელიც ლახავს ადამიანის უფლებებს. სამუშაო ადგილას გენდერული დისკრიმინაციის მაგალითებია: ორსულობის გამო სამსახურიდან დათხოვნა, დაწინაურებისას გენდერის გამო უპირატესობის მინიჭება კანდიდატისთვის, ნაკლები ხელფასის გადახდა სქესის გამო და სხვა.

რა არის სექსუალური შევიწროება და რა ქმედებები მიიჩნევა სექსუალურ შევიწროებად?

სექსუალური შევიწროებაა ნებისმიერი არასასურველი ქმედება, რომელსაც აქვს სექსუალური ხასიათი და ადამიანის მიერ აღიქმება შეურაცხყოფად და დამცირებად. ამგვარი ქცევა ხელს უშლის სამუშაოს ეფექტურად განხორციელებას და თანამშრომლისთვის ქმნის მტრულ გარემოს. სექსუალური შევიწროება არ არის ფლირტის ფორმა, სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმაა.

სექსუალური შევიწროების მაგალითები:

- მომსახურება მომსახურების სანაცვლოდ (სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ დაწინაურების შეთავაზება);
- სექსუალური მომსახურების შეუსრულებლობის გამო სამსახურიდან დათხოვნის მუქარა;
- არასასურველი ფიზიკური შეხება;
- სექსუალური ხასიათის ხუმრობები, კომენტარები, იმეილის და სატელეფონო შეტყობინების გაგზავნა;
- პორნოგრაფიული ფოტოებისა და ვიდეობის ჩვენება;
- სხვა არასასურველი, სექსუალური ხასიათის ქმედება.

სექსუალური შევიწროება აკრძალულია, ნუ მოითმენ, გამოიყენე გასაჩივრების მექანიზმი.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენ ან თქვენი კოლეგა დისკრიმინაციის ან სექსუალური შევიწროების მსხვერპლი ხართ, გამოიყენეთ ორგანიზაციაში დანერგილი საჩივრის მექანიზმი:

- პირადად მიმართეთ HR დეპარტამენტს ან სპეციალურ საბჭოს;
- გამოიყენეთ თქვენს ორგანიზაციაში არსებული ცხელი ხაზი ან შეავსეთ სპეციალური ფორმა და გააგზავნეთ კონფიდენციალურ იმეილზე.

თქვენი ორგანიზაცია ვალდებულია:

- საჩივრის მიღებისთანავე დაგიკავშირდეთ და დაიწყოს მოკვლევა;
- მოიწვიოს სპეციალური საბჭო, რომელიც ორგანიზაციის სხვადასხვა რგოლის თანამშრომლებისგან შედგება;
- უზრუნველყოს თქვენი საჩივრის კონფიდენციალურობა;
- დაგიცვათ პოტენციური მოძალადისგან მოკვლევის პერიოდში;
- მაქსიმუმ 1 თვის ვადაში გადაწყვიტოს დავა.

უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემო ყველას უფლებაა!

თუ ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები სათანადოდ ვერ დაიცვა თქვენმა ორგანიზაციამ, დისკრიმინაციის ფაქტიდან სამი თვის ვადაში შეგიძლიათ, მიმართოთ სასამართლოს.

უფასო იურიდიული კონსულტაციისთვის მიმართეთ “საფარს”

"საფარი"
თბილისი, ქანთარიას ქ. 11ა
0322 30 76 03
www.sapari.ge

“სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (სიდა) აქტივობები კორპორაციული პასუხისმგებლობის წახალისების მიმართულებით მხარდაჭერილია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით."